ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N06/42

პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი 18 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ბესიკ დევდარიანის** სახით,
მის: ქ. თბილისი ს. ეულის ქ. N3,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „ტელკო სისტემს"
წარმოდგენილი დირექტორის - **ირაკლი გულიაშვილის** სახით,
მისამართი: ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ.№29ა;
ტელ: 2 192 999;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205203279
საბანკო რეკვიზიტები: სს „ ვითიბი ბანკი ჯორჯია";
IBAN: GE54VT 6600 0012 1212 3602
(შემდგომში „მიმწოდებელი")

წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის (ა) ქვეპუნქტი 2015 წლის 24 აპრილის NMCLA 1 15 00334325 მოხსენებითი ბარათი.

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის შესწავლის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
- **ქსელის კაბელის შესყიდვა**
- CPV კოდი: 32400000 - ქსელები;

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია ფასების ცხრილში - დანართი N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

შემსრულებელი:

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორება**

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **438.60 ლარს (ოთხასოცდათვრამეტი ლარი და 60 თეთრი).**

3.2 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების **ცხრილში-** - **დანართი N1.**

3.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.4 დაფინანსების წყარო: **2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

3.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.6 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, 30 (ოცდაათი) კალენდალური დღის ვადაში.

3.7 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 საქონლის მიღებას აწარმოებს სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიური დეპარტამეტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ლაშა აბრამიძე.**

4.2 საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. **საქონლის მიწოდების პირობები**

5.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ფასების ცხრილში - **დანართი N1–ში** მოცემულ მახასიათებლებს.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის მიწოდება საკუთარი ხარჯებით;**

5.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. №3.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს მიღებული საქონლის კონტროლი და/ან გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი და ახლით შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას არ გამოვლინდა საქონლის ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც მიუთითებს უნაკლო საქონლის რაოდენობის შესახებ.

6.5 შესრულების კონტროლს აწარმოებს სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ლაშა აბრამიძე.**

7. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

შემსრულებელი: _____

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 თუ „მიმწოდებელი" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

9.3.2 განუსაზღვროს მიწოდების დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.4 თუ „შემსყიდველი" დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მიწოდების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.5 თუ „მიმწოდებელი" დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მიწოდების სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი" წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.7.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

შემსრულებელი: _____

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

12.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

12.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**შპს „ტელკო სისტემს"**
ბესიკ დევდარიანი	ირაკლი ბულიაშვილი

შემსრულებელი: _____

<u>დანართი N1</u>

2015 წლის 18 ივნისის N06/42 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	324 21000	ქსელის კაბელი КПВ-ВП (350) 4*2*0 ,51 (UTP-cat.5E) 305M	ყუთი	2	219,30	438,60
		ჯამი:				438,60

შემსყიდველი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ბესიკ დევდარიანი

მიმწოდებელი:
შპს „ტელკო სისტემს"

ირაკლი გულიაშვილი

შემსრულებელი: _____

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 18 ივნისი 2015 წელი

მიმწოდებელი: შპს „ტელკო სისტემს“

ხელშეკრულების № 06/42

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. ბესიკ დევდარიანი
2. ამირან ჯებისაშვილი
3. გივი ქემოკლიძე
4. შალვა ჯულაყიძე
5. ლაშა აბრამიძე

MCLA 1 15 00334325

24/04/2015

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სამინისტროს მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ბესიკ დევდარიანს**

ამავე სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების
დეპარტამენტის უფროსის
ლაშა აბრამიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული შიდა კვლევის თანახმად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად ესაჭიროება სხვადასხვა სახის ტექნიკა.
გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნულის უზრუნველყოფა.

დანართ N1-ში იხილეთ ტექნიკის რაოდენობა და სახეობები.

პატივისცემით,

პატივისცემით,
საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი
ლაშა აბრამიძე

N	CPV კოდი	საჭიროების დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	განზ.	რაოდენობა
1	30234600	ფლეშ მეხსიერების ბარათები USB 3.0 16 Gb	USB 3.0 16 Gb	ცალი	30
2	30234600	ფლეშ მეხსიერების ბარათები USB 3.0 32 Gb	USB 3.0 32 Gb	ცალი	40
3	30237460	მულტიმედიური კლავიატურები USB 2.0	USB 2.0	ცალი	29
4	30237410	კომპიუტერის თაგვები USB 2.0	USB 2.0	ცალი	30
5	30237410	კომპაქტური ლეპტოპის თაგვები USB 2.0	USB 2.0	ცალი	15
6	[illegible]	**UTP კაბელი CAT5e 24AWG 305m 100% Cu**	CAT5e 24AWG 305m 100% Cu	ცალი	3
7	30234300	**CD-R**	700 Mb შეკვრა (50 ცალიანი)	შეკვრა	14
8	30234300	**DVD - R**	4.7 Gb (50 ცალიანი)	შეკვრა	12
9	30236110	ოპერატიული მეხსიერების ბარათები **DDR3-1333 2 Gb**	DDR3-1333 2 Gb	ცალი	10
10	30237280	**UPS , სიმძლავრე: 650VA**	სიმძლავრე: 650VA	ცალი	35
11	30236000	ვიდეოდაფა **GTX 660 2GB , 192 bit**	Stream Processors: 960 , Memory Bus Width: 192 Bit , VRAM: 2Gb	ცალი	5
12	30236000	კვების ბლოკები , **სიმძლავრე: 800W**	სიმძლავრე: 800W	ცალი	10
13	30231300	მონიტორი	21,5" Widescreen უკანა LED განათებით ან უკეთესი , რეკომენდაციის დონე: მაქსიმუმ 5 მილიწამი , გარჩევადობა: 1920x1080 , კონტრასტულობა: დინამიური 3 000 000:1 ან უკეთესი , ვიდეო პორტები: DVI,VGA	ცალი	21
14	30237410	მაუსი უკაბელო	დაკავშირება: უკაბელო , ხეხვირის ტიპი: ოპტიკური , აკუმულატორის ტიპი: 2xAA	ცალი	10
15	30232110	A4 პორმატის შავ-თეთრი პრინტერი	ფუნქციები:შავ-თეთრი ბეჭდვა ბეჭდვის სიჩქარე:33 გვერდი წუთში პირველი გვერდის ამობეჭდვა: 8 წამი გარჩევადობა:1200dpiთვიური დატვირთვა:50,000 გვერდი თვეში პროცესორი:CPU 800MZh; ორმხრივი ბეჭდვა: Duplex - კი მეხსიერება: 256MB RAM ინტერფეისი: 1 Hi-Speed USB 2.0; Gigabit Ethernet LAN სტანდარტული კარტრიჯის რესურსი: 2,700 გვერდი თავსებადი კარტრიჯთან: 80A მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი-MAF გარანტია: არანაკლებ ერთი წელი მემოთავაზებულბრენდს თბილისში უნდა გააჩნდეს მინიმუმ სამი ოფიციალური სervის-ცენტრი	ცალი	1
16	30232110	მრავალფუნქციური პრინტერი	ფუნქციები: Flatbed Copier, Scanner, Printer, Fax კოპირების სიჩქარე: 20 გვერდი წუთში ,თვიური დატვირთვა: 8000 გვერდი ბეჭდვის სიჩქარე: 20 გვერდი წუთში ,პირველი გვერდის ამობეჭდვა: 9,5 წამი , ბეჭდვის გარჩევადობა:600 x 600 dpi; მეხსიერება:128MB RAM; პროცესორი:CPU 600Mzh სკანერის გარჩევადობა: 1200dpi,24 bit color; ADF -ის ტევადობა: 35 გვერდი ინტერფეისი: USB 2.0; Ethernet 10/100Base-T ,სტანდარტული კარტრიჯის რესურსი:1600 გვერდი ,თავსებადი კარტრიჯთან: 83A , მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი-MAFგარანტია: არანაკლებ ერთი წელიმემოთავაზებულ ბრენდს თბილისში უნდა გააჩნდეს მინიმუმ სამი ოფიციალური სervის-ცენტრი	ცალი	8
17	32324100	ტელევიზორი	არანაკლებ 32' , Full HD , LED განათება	ცალი	2
18	[illegible]	პროექტორი	სკრ/სკ/ბარ/სიდი, დაქუცმაცება 4X350d. 10 ფურცელი	ცალი	2
19	30216110	სწრაფი სკანერი	სკანერის ტიპი: Document Scaner , ქაღალდის ფორმატი: A4 , სკანერის სიჩქარე: 25ppm , სკანერის გაფართოება: 600 DPI , კავშირი კომპიუტერთან: USB 2.0	ცალი	4
20	32342412	დინამიკი	აუქტიკის ფორმატი : 2.0 , დინამიკის გამავალი სიმძლავრე : 2x5 WATT , დინამიკის კორპუსის მასალა : პლასტმასი , დიაპაზონის სიხშირე : 20-20000 Hz , ტემბრის რეგულირება : კი , პორტები : mini jack , ყურსასმენის მიერთება : კი	ცალი	3
21	32342200	ყურსასმენი	ყურსასმენის ტიპი: დახურული ,შეერთების ტიპი: სადენიანი ,დიაპაზონის სიხშირე: 20-20000 Hz , მგრძნობიელობა: 108 DB , წინაღობა: 32 Ohm	ცალი	22

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	გაზ.	რაოდენობა
22	30232110	A4 ფორმატის ფერადი პრინტერი	ფუნქციები:ფერადი ბეჭდვა ბეჭდვის სიჩქარე:14 გვერდი წუთში(შავ-თეთრი) / 14 გვერდი წუთში(ფერადი) პირველი გვერდის ამობეჭდვა:19 წამი გარჩევადობა: 600dpi თვიური დატვირთვა:30,000 გვერდი თვეში მეხსიერება:128MB RAM ინტერფეისი:1 Hi-Speed USB 2.0 port, 1 Ethernet 10/100Base-TX network port თავსებადი კარტრიჯებთან:131A სტანდარტული კარტრიჯის რესურსი: შავ-თეთრი 1600 გვერდი / ფერადები 1800 გვერდი მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი-MAF გარანტია: არანაკლებ ერთი წლისმქონეთავზეზულებრივნდს თბილისში უნდა გააჩნდეს მინიმუმ სამი ოფიციალური სervის-ცენტრი	ცალი	2
23	30216100	ოპტიკური დისკის წამკითხველი/ჩამწერი	ჩაწერის სიჩქარე: DVD+R:24X , DVD-R:24X , წაკითხვის სიჩქარე: DVD+R:16X , DVD-R:16X , ინტერფეისი: SATA , Enclosure Type: Internal	ცალი	10
24	32552100	VoIP ტელეფონი	Ethernet პორტების რაოდენობა:2 RJ45 10/100BASE-T Mbps, LAN, WAN POE Voice Vlan მხარდაჭერა Speakerphone: Full-duplex speakerphone POE: Power Over Ethernet ხმის კოდირების მხარდაჭერა: SIP, G.711(A law or μ law), G.723.1, G729 ფუნქციები: Redial, Call Forward, Call Transfer, Hold, DND, Speaker, Call ID display, echo cancellation ეკრანი: მონოქრომული კვების ბლოკი: Voltage: 5V ~ 24V, Power adapter output DC 12V/450 mA მენეჯმენტი: Web,telnet and keypad management. Upgrade firmware through HTTP, FTP or TFTP. Upload/download setting file. Phone book, maximum 100 entries. Data Features: Static/Dynamic WAN IP Addressing	ცალი	17
25	32556000	VoIP ტელეფონის გაფართოების მოდული	EXPANSION MODULE FOR POLYCOM 650 IP PHONE	ცალი	2
26	31224810	USB connection	USB 2.0 Extension Cable TypeA M/F , 1.8m	ცალი	20
			ხელ ჯამი:		

მიღება ჩაბარების აქტი N06/42

ქ. თბილისი

22 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
მისი წარმომადგენელი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის
უფროსი - **ლაშა აბრამიძე**
მის: ქ. თბილისი, სანდროეულის ქ. № 3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „ტელკო სისტემს"
წარმოდგენილი დირექტორის - **ირაკლი გულიაშვილის** სახით,
მისამართი: ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ.№29ა;
ტელ: 2 192 999;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205203279
საბანკო რეკვიზიტები: სს „ ვითიბი ბანკი ჯორჯია";
IBAN: GE54VT 6600 0012 1212 3602
(შემდგომში „მიმწოდებელი")

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 18 ივნისს გაფორმებული N06/42 ხელშეკრულების ფარგლებში, „მიმწოდებელმა" მიაწოდა შემდეგი დასახელების საქონელი:

N	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	324 21000	ქსელის კაბელი КПВ-ВП (350) 4*2*0 ,51 (UTP-cat.5E) 305M	ყუთი	2	219.30	**438.60**
ჯამი:						**438.60**

შემსყიდველი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ლაშა აბრამიძე

მიმწოდებელი:
შპს „ტელკო სისტემს"

ირაკლი გულიაშვილი